ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87. 8724031001**
თარიღი:**31/01/2024**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №1

ქ.ახმეტა, 31 იანვარი, 2024 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ.ავაზაშვილი, გ.ქიბროწაშვილი,გ.ონიაშვილი, გ.შაშიაშვილი, ბ.კაიშვილი, კ.მამულაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, შ.ტერტერაშვილი გახუაშვილი, ზ.ფიცხელაური

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

2. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

3. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

4. **„ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

5. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

6. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხორბალოში მდებარე 170280.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (50.01.39.006.022) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.**

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

<u>მოისმინეს:</u> ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობის შესახებ და უპასუხა კითხვებს.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს დამსწრე წევრებს საკითხი.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 ივნისის N8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/06/2020, სარეგისტრაციო კოდი:010250050.35.162.016526) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 3-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 4-ის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**“.

ბ) პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის გამო დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ვალდებული ხართ გამოცხადდეთ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებული საქმის განხილვაზე, ქვემოთ მითითებულ დროს, მითითებულ ადგილზე.“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 5-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**“.

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 6-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური**“.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N15 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/03/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.162.016618) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ - „სამსახური“) ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, მისი შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

2. სამსახური ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა/რეესტრი, სადაც აისახება ის ობიექტები, რომელთა მშენებლობა 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იქნება შეჩერებული.

3. მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საინფორმაციო ბაზის/რეესტრის წარმოების მიზნით გამოყოს შესაბამისი პასუხისმგებელი საჯარო მოხელე (მოხელეები).

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის შემოწმება გულისხმობს სამსახურის საჯარო მოსამსახურეების მიერ, შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.

5. შემოწმების პროცესში აუცილებელია გადაღებულ იქნეს ობიექტის ფოტოსურათები (გადაღების თარიღის მითითებით) და შედგეს დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული მშენებლობის გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

6. დათვალიერების ოქმი უნდა შედგეს სათანადო წესით და ხელმოწერილ იქნეს ყველა შესაბამისი საჯარო მოსამსახურის მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. შესაძლებლობის შემთხვევაში დათვალიერების ოქმი გასაცნობად და ხელმოსაწერად უნდა წარედგინოს სამართალდამრღვევს. ამასთან, დათვალიერების ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერის არარსებობამ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორე.

7. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და ადგენს შესაბამის აქტს. შემოწმების აქტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისად, გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აღსასრულებლად მიექცევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, სამსახური ვალდებულია განახორციელოს ობიექტის შემოწმება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი პერიოდულობით.“.

9. თუ პირი, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, კვლავ ჩაიდენს ასეთ ქმედებას, მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს საგამოძიებო ორგანოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360^1 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე.

10. თუ ობიექტის შემოწმებით დადგინდა, რომ აღმოიფხვრა მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული შეჩერების საფუძველი, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ობიექტის მიმართ აღარ გავრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემოწმების ვალდებულება.“.

<u>მოისმინეს:</u> „ცალკეულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილება, რომლის მიხედვითაც ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ზედამხედველობის სამსახური. შესაბამისად, საჭიროა რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებებში შევიდეს ცვლილებები და სტრუქტურული ცვლილების შესაბამისად ჩასწორდეს სამსახურის დასახელება.

<u>მოისმინეს:</u> „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი შწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის დადგენილებაში არსებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც საჭიროებს ჩასწორებას. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ N38 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ N1 დანართში შეტანილია ისეთი მცენარეები (მაგ: ნეკერჩხალი მაღალმთის, ნეკერჩხალი ქორაფი და ლეკა, მაღალმთის მუხა, კოლხური მუხა, კავკასიური ფიჭვი,კავკასიური სოჭი, ძელქვა, მაგნოლია, არყის ხე, ერთფერა სოჭი, ზღვისპირა ფიჭვი, ჰალეპოს ფიჭვი, აღმოსავლური ჭადარი, პალმისებური ნეკერჩხალი, იაპონური ნეკერჩხალი, იაპონური აუკუბა, მანდარინი, ინდური როდოდენდრონი და ა.შ.), რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის N513 განკარგულებით.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხორბალოში მდებარე 170280.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (50.01.39.006.022) საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: დამტკიცდეს - საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **სოფელ ხორბალოში მდებარე 170280.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (50.01.39.006.022)**

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 460400 (ოთხასსამოციათას ოთხასი)ლარის

ოდენობით;

ბ)„ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა-საწყისი

საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 138120 (ასოცდათვრამეტიათასასოცი) ლარის

ოდენობით;

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო

საფასურის 10%-ით - 46040 (ორმოცდაექვსიათას ორმოცი) ლარის ოდენობით;

დ) საპრივატიზებო პირობა:

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა პრივატიზებიდან ხუთი წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს არანაკლებ 2 000 000.00 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიცია:

- პირველი ორი წლის განმავლობაში პროექტირება - 500 000(ხუთასი ათასი)ლარი;

- მე-3-4 წელი მოსამზადებელი სამუშაოები (ტერიტორიის გასუფთავება, რეკრიაციული სივრცეების მოწყობა - 500 000(ხუთასი ათასი)ლარი

- მე-5 წელი ტურისტული ობიექტების მშენებლობა - 1 000 000(ერთიმილიონი) ლარი.

- ადგილობრივი მოსახლეობისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების მოწყობა, გადამზადება და დასაქმება. (მინიმუმ 10-15 კაცი)

ბიურომ იმსჯელა და საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით მოითხოვა პროექტის წარმომადგენელთან შეხვედრა საკრებულოს სხდომამდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის საკრებულოს სხდომისთვის წარდგენას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგის პროეტი დამტკიცდა საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარსადგენად.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{20} საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი